ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2631947

ნომერი: AR1405926

თარიღი : 19.05.2016

გაცემის თარიღი : 03.06.2016

გაცნობის თარიღი : 06.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, სამღებროს ქ. N6-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ელენე თოთიბაძე პ/ნ 01008022979
- ნავთლუღის ქ. N8ა

ორგანიზაცია:
- სს შატო მუხრანი კოდი: 205000381

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1405926 19.05.2016 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N6-ის მიმდებარედ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდით: N 01.18.03.062.009) ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ, რომლის დასკვნის საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N6–ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის საკითხს.

თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, ერთი წლის ვადით გეძლევათ უფლება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N6-ის მიმდებარედ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდით: N01.18.03.062.009) თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტომონტაჟის შესაბამისად, მოაწყოთ ღია კაფე;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge